



არაოფიციალური თარგმანი

**შს მინისტრის საკანონმდებლო ინიციატივა  
წამების პრაქტიკის გაბრძნობას შეუწყობს ხელს**

(ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი, 2002 წ.) – საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას წამების საწინააღმდეგო მექანიზმების შემდგომი ეროვნული განაცხადა დღეს Human Rights Watch-მა. ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა რეგრესული ცვლილებები მოითხოვა საქართველოს ისედაც არასრულყოფილ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ხოლო პარლამენტმა მზადყოფნა გამოხატა ნებისმიერი შემოთავაზებული შესწორების მისაღებად.

შინაგან საქმეთა მინისტრი პარლამენტში დაიბარეს მას შემდეგ, რაც ოთხშაბათს თბილისის ცენტრში მოკლულ იქნა კახი ასათიანი – ბიზნესმენი და ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი. პარლამენტში ნარჩემაშვილმა კანონმდებლები დაადანაშაულა ისეთი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებაში, რომელიც ხელებს უბოჭავს მის სამინისტროს. შემდეგ მან მოითხოვა იმ 12 საათიანი ვადის გაგრძობა, რა ვადითაც პოლიციას პირის თვითნებურად დაკავების უფლება აქვს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაუბრუნდეს იუსტიციის დაქვემდებარებაში მყოფი წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში ოპერატიული საქმიანობის წარმოების უფლება. ხოლო იმავე საღამოს სატელევიზიო ეთერში ნარჩემაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მოწმეს უნდა ჩამოერთვას ადვოკატის ყოლის უფლება.

“შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებები სხვა არაფერია, თუ არა წამების ქარტია,” განაცხადა ელიზაბეტ ანდერსენმა, Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების აღმასრულებელმა დირექტორმა. “ევროსაბჭომაც და გაერომაც მოითხოვა საქართველოში თავისუფლებაშეზღუდულ პირთა დაცვის დამატებითი მექანიზმები, მაგრამ, როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულიად საწინააღმდეგოს გეთავაზობს.”

საქართველოს სამართალდამცავების მიერ დაკავებულთა წამება და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადების დარღვევა

ჩვეულებრივი მოვლენაა. მიმდინარე წლის აპრილში გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში პატიმრების მიმართ ფართოდ გავრცელებული წამებისა და სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის ფაქტების შესახებ. გუშინ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო საექსპერტო ბიურომ მიმდინარე წელს ელექტრო შოკით წამების სულ მცირე ოთხი და დაკავებულთა ხელმოწერის გაყალბების რამდენიმე შემთხვევა დაუდასტურა Human Rights Watch-ს. პოლიციის განყოფილებებიდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული წინასწარი პატიმრობის საკნებში გადაყვანილი დაკავებულების შესწავლამ გამოავლინა პატიმართა წამებისა და 72-საათიანი ვადების დარღვევის არაერთი შემთხვევა.

1998 წელს ევროსაბჭოს ექსპერტების დახმარებით საქართველომ მიიღო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც თავისუფლებაშეზღუდულ პირთა უფლებების დაცვის მექანიზმებს შეიცავდა. მაგრამ 1999 წლის მაისსა და ივნისში – საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებიდან სულ რამდენიმე კვირაში – საქართველოს პარლამენტმა მიიღო კოდექსის ათეულობით რეგრესული შესწორება, რითაც გააუქმა ზემოაღნიშნული დამცავი მექანიზმები, მათ შორის წინასწარი პატიმრობისას შელახული უფლებების აღსადგენად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ამ ცვლილებათა გამო შეშფოთებამ განაპირობა 2000 წლის ოქტომბერში Human Rights Watch-ის მიერ მოხსენების გამოქვეყნება: *“რეფორმათა გაუქმება: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებები ზღუდავს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.”*

“1999 წელს მიღებული შესწორებები იყო უკან გადადგმული დიდი ნაბიჯი. დაკავებულთა უფლებებზე მათი უარყოფითი ზეგავლენა უნდა გამოსწორდეს, არათუ გაძლიერდეს,” თქვა ანდერსენმა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მუხლი პოლიციას პირის 12-საათიანი დაკავების უფლებას აძლევს, სანამ მას ადვოკატისა და ექიმის მონახულება შეეძლება. ეს 12-საათიანი პერიოდი არღვევს საქართველოს კონსტიტუციასა და საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროკონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. საქართველოს სახალხო დამცველმა, ორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად, საჩივრით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ ვადის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრი დღეს ჩივის, რომ თვითნებური დაკავების 12-საათიანი პერიოდი არასაკმარისი დროა პოლიციის თანამშრომლებისთვის.

1999 წლის შესწორებებმა აგრეთვე ჩამოართვა მოწმეს დამცველის ყოლის უფლება, მაგრამ 2001 ივნისის ცვლილებით მოხდა ამ უფლების აღდგენა. ხუთშაბათს ნარჩენაშვილმა არგუმენტად მოიტანა ამ უფლების არასაჭიროება და მოითხოვა მისი კოდექსიდან კვლავ ამოღება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ “რეფორმათა გაუქმების” მოხსენებაში Human Rights Watch-მა აღწერა პოლიციის მიერ ეჭვმიტანილების განზრახ მოწმედ განწესების ტაქტიკა, რითაც მათ ტოვებს ადვოკატის ყოლისა და სხვა პროცესუალური უფლების გარეშე.

პარლამენტის წინაშე გაკეთებული მოხსენებისას ნარჩენაშვილმა განაცხადა, რომ სისხლის სამართლებრივი გამოძიებები ზარალდება, ვინაიდან მის თანამშრომლებს აღარ აქვთ უფლება

ოპერატიული მუშაობა აწარმოონ წინასწარი დაკავების საკნებში. ევროსაბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისად, 2000 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ ეს დაწესებულებები იუსტიციის სამინისტროს დაუქვემდებარა, მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კონტროლირების ნაცვლად. მას შემდეგ ეს უწყებები უფრო გამჭვირვალე გახდა.

“პოლიციის მიერ ხშირია მინიჭებული უფლებების ბოროტად გამოყენების შემთხვევები,” განაცხადა ანდერსენმა. “კიდევ უფრო მეტი უფლებების მიცემა ვერ გამოასწორებს დანაშაულის პრობლემას. ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა პოლიცია მოიპოვებს საზოგადოების ნდობას.”

საქართველოს ხელისუფლებაც აღიარებს საზოგადოების მხრიდან პოლიციისადმი ნდობის უდიდეს დეფიციტს. 2001 წელს ხელისუფლებამ შექმნა სამთავრობო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და საქართველოს უშიშროებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმირების გეგმა. 2002 წლის სექტემბერს კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ვკითხულობთ: “სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას სერიოზულად აფერხებს სამართალდაცვის ორგანოებში არსებული კორუფციის მაშტაბები, რაც ეჭვქვეშ აყენებს კანონისა და სამართლის ავტორიტეტს.” მოხსენება ასევე ხაზს უსვამს ხელისუფლების პოლიტიკური ნების ქონის აუცილებლობას რეფორმათა წარმატებით განხორციელებისათვის.

პოლიციის სიტემაში არსებულ კორუფციას მოწმობს მიმდინარე წელს დოკუმენტირებული რამდენიმე შემთხვევა. სატელევიზიო ჟურნალისტური გამოძიების – გადაცემა *60 წუთის* მიერ მხილებულ იქნა ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილების უფროსი, რომელიც ინფორმატორს ავალებდა ვინმესთვის ნარკოტიკის ჩაგდებას, რათა შემდგომ ბიუროს თანამშრომლებს ფული გამოეძალათ. 27 სექტემბერს 20-ზე მეტმა პოლიციელმა დაარბია ქალაქ ზუგდიდის ადგილობრივი ტელეკომპანიის სტუდია, სცემა ტელევიზიის თანამშრომლებს და დაამტვრა აპარატურა. ეს ტელეკომპანია თანამშრომლობდა *60 წუთთან* აფხაზეთიდან ბენზინის კონტრაბანდში პოლიციის როლის შესახებ სიუჟეტის მომზადებაში. სავარაუდოდ პოლიციამ იმავე დღეს შეურაცხყოფა მიაყენა გადაცემის ზუგდიდელ კორესპონდენტსა და მის 10 წლის ვაჟს.

“საქართველოს ხელისუფლებამ მიზანმიმართულად უნდა დაუჭიროს მხარი სისხლის სამართლებრივი სისტემის რეფორმირებას,” თქვა ანდერსენმა. Human Rights Watch-ი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას დაუყოვნებლივ მიიღოს კოდექსის შესწორებები, რომელიც გამოასწორებს არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უხემ დარღვევებს. ეს შესწორებები უნდა შეიცავდეს 12-საათიანი ვადის გაუქმებასა და თავისუფლებაზე მუდმივად პირის მიერ წინასწარი გამოძიებისას მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსადმი მიმართვის უფლების აღდგენას. Human Rights Watch-ი აგრეთვე რეკომენდაციას უწევს კონკრეტული მექანიზმების შემოღებას, რომელიც დაეხმარება დაკავებულებს გამოძიების ადრეულ სტადიაზე მოახერხონ რეაგირების მიღება სხეულის დაზიანებებსა და 72-საათიანი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით.